ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ●გამოდის 1933 წლიდან ●№20 (7097) 16 ოქტომბერი 2023 წელი

22 ოქტომბერს „თერჯოლობაა“!

მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ეს მთავარი ღონისძიება მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის გარდაცვლილი მერის, ლაშა გოგიაშვილის სახელობის ახლადრეაბილიტირებულ სკვერში ჩატარდება.

ეს დღე 12 სააზე, ლაშა გოგიაშვილის სახელობის საფეხბურთო მინი-ტურნირის საფინალო მატჩით დაიწყება. სკვერის მთელ ტერიტორიაზე თქვენ შეგიძლიათ პირადად ჩაერთოთ სხვადასხვა მრავალფეროვან ღონისძიებებში, რომლებიც თქვენთვის ამ ზეიმის ორგანიზატორებმა მოამზადეს. გელით ბევრი სიახლე და სიურპრიზი. გვერწმუნეთ აუცლებლად კმაყოფილი დარჩებით ჩვენთან სტუმრობით და ამ ზეიმში მონაწილეობით.

მობრძანდით გელით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წმინდა მარიამ ღვთისმშობელი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

11 ოქტომბერს, ქალაქ თერჯოლის ხარების საკათედრო ტაძარში ჩამოაბრძანეს „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ხატი”. ამ მოვლენასთან დაკავშირებით წირვა-ლოცვა აღევლინა. წმინდა ხატის მოლოცვა თერჯოლის მრევლს მთელი დღის განმავლობაში შეძლო.

ღვთისმსახურების შემდეგ თერჯოლის კულტურის სახლში სასულიერო პირებთან შეხვედრა და მართლმადიდებლურ საკითხებზე საუბრები გაიმართა, რომელსაც მრევლთან ერთად ესწრებოდა თერჯოლისა და ტყიბულის მიტროპოლიტი მეუფე გიორგი (შალამბერიძე).

გილოცავთ!

27 ოქტომბერი—მასწავლებლის ეროვნული დღე

☞4,5

„დიდებულია, სანიმუშო და კომფორტული“

ეს სიტყვები ხშირად გაისმოდა 5 ოქტომბერს, თერჯოლაში №3 საბავშვო ბაღის გახსნაზე.

☞2

„დიდებულია, სანიმუშო და კომფორტული“

ერთიანი აზრი, თუ როგორი უნდა იყოს სწავლების ორგანიზაცია საბავშვო ბაღებში არ არსებობს, მაგრამ ერთიანია აზრი იმის შესახებ, რომ სკოლამდელი სწავლება საჭირო და აუცილებელია, რადგან საბავშვო ბაღებზე დიდად არის დამოკიდებული მათი სასკოლოდ მომზადება. თერჯოლის მუნიციპალიტეტში 26 ბაგა-ბაღის არსებობა და მათგან, ბოლო წლებში ცხრა ბაღის აშენება-რეაბილიტაცია და სამომავლო გეგმები, რომლებიც მერიას ამ მიმართულებით აქვს, მომავალ თაობებზე ზრუნვის თვალსაჩინო მაგალითია.

ეს „იმედის სხივია“

№3 ბაგა-ბაღი „იმედის სხივი“, ძალიან ლამაზ ახალ შენობაში განთავსდა. აქ ყველაფერი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით არის, აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. ოთახები ნათელია, ფართო, მზიანი, მრავალი სახის უამრავი სათამაშო და რესურსი. ეზოს ატრაქციონები სწორედ რომ იმედის მომცემია, მომავალი თაობისათვის, მათი მშობლების და ბაგა-ბაღის კვალიფიციური, საქმის მცოდნე და პასუხისმგებელი თანამშრომლებისათვის.

№3 საბავშვო ბაგა-ბაღი, ეს არის ბაღი, რომელიც საჩვენებლად გამოდგება, შეიძლება ქვეყნის მასშტაბითაც.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ ბაღის გახსნის დღეს თქვა—„ამ ბაღის მშენებლობის დაწყება და არც მშენებლობის მიმდინარეობის პროცესი მარტივი არ ყოფილა. ბატონ ლაშა გოგიაშვილისათვის ამ ბაღის პროექტირება მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ კი შევეცადეთ ყოფილიყო ეს ბაღი ისეთი, როგორიც არის. ბოლო წლებში ცხრა ახალი ბაღი ავაშენეთ. შარშან ეს სასიამოვნო პროცესი საზანოში მოხდა, მომავალ წელს ძევრშიც ვიზეიმებთო“. მერმა ახალი ბაღის გახსნა მიულოცა აღსაზრდელებს, აღმზრდელებს, მშობლებს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მადლობა გადაუხადა მშენებლებს, მერიასა და საკრებულოს ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას, პარლამენტში თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატს, დეპუტატის ბიუროს, ყველას, ვინც პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა ამ საშვილიშვილო საქმეში თანადგომის და მხარდაჭერისათვის.

გახსნის დღეს მრავლად იყვნენ მოწვეული სტუმრები, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ლევან სანიკიძე და ბესო გოფოძე, მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საკრებულოს დეპუტატები, სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები, ბაგა-ბაღების დირექტორები, საზოგადოების წარმომადგენლები.

სიტყვები წარმოთქვეს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლევან სანიკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით გოგბერაშვილმა, თერჯოლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ელისო მურადაშვილმა, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, მშობელმა სოფო სიუკაევამ, ისედაც ამაღლებული განწყობილება გაახალისა თერჯოლის №1 ბაღის დირექტორის ინეზა ფანჩულიძის სიტყვებმა—მიხარია ამ ბაღის გახსნა, ყველას ვულოცავ, ვისმენდი გამოსვლებს და ვფიქრობდი—ეს ლამაზი სიტყვები ჩვენი ბაღის ახალ შენობაზე როდის ითქმება!

„იმედის სხივის“ პროექტირების, მშენებლობის მიმდინარეობაზე და სკოლამდელი განათლების მიმართებით არსებულ მდგომარეობაზე მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელმა მაია თორთლაძემ. მან მადლობა გადაუხადა მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელებს, მშენებლებს, ყველას, ვინც მცირე წვლილიც კი შეიტანა მშენებლობის პროცესში, წარმატებები უსურვა ბაღის თანამშრომლებს, აღსაზრდელებს, არ დავიწყებია მშობლების და ბაღის თანამშრომლების ერთიანი თანამოღვაწეობა.

ბედნიერი იყო ბაღის დირექტორი ლალი ქარქაშაძე და ყველა თანამშრომელი. ქალბატონმა ლალიმ წარსულზედაც ისაუბრა, მანამდე ამ ბაღს დალი სარალიძე, ლუიზა კუპატაძე და აწ გარდაცვლილი ლილი ნემსიწვერიძე ხელმძღვანელობდნენ. ბევრი თაობა აღიზარდა ამ ბაღში, კვლავაც აღიზრდებიან და გაიხსენა ის დღე, როცა ლაშა გოგიაშვილი პირველად მოიყვანეს, იგი ყოველთვის მადლიერი იყო აქ გატარებული წლების—ჩემი მშობლიური ბაღი და მეორე სახლიო—გვეტყოდა შეხვედრისას.

ქალბატონმა ლალიმ სამადლობელი არაერთხელ გაიმეორა.

ლალი ქარქაშაძე—თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი: პირველად 1981 წლის სექტემბერში გაიხსნა თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელიც ფუნქციონირებდა 40 წელი. ბოლო წლებში ბაღის შენობა გახდა ავარიული და კომისიის დასკვნით გადაწყდა მისი დემონტაჟი.

იმ პერიოდში რაიონს ხელმძღვანელობდა ბატონი ლაშა გოგიაშვილი, რომლის ძალისხმევითაც შეიქმნა ეს პროექტი.

პროექტის ავტორი რამაზ კუკულავა, მშენებელი—ამხანაგობა „მაქსიმუმი“, თავმჯდომარე ვასილ ჯანჯღავა, მშენებელი ინჟინერი გიორგი გიგაური.

მშენებლობა 2 წელი მიმდინარეობდა. მისი მშენებლობა 2 443 000 ლარი დაჯდა. ამ წლების მანძილზე ბატონ მანუჩარ რობაქიძის ხელმძღვანელობით აშენდა ორსართულიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი 120 აღსაზრდელზე გათვლილი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით. კეთილმოეწყო საბავშვო ბაღის ეზო, რომელიც ბავშვებს მრავალფეროვან და სხვადასხვანაირი თამაშების შესაძლებლობას უქმნის. მყუდროდ მოწყობილია ჯგუფის ოთახები სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ხელი შევუწყოთ ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესს, მათი ინტერესების, შესაძლებლობების, ინდივიდუალური მიზნების გათვალისწინებით.

სოფო სიუკაევა—მშობელი: თითოეულ თერჯოლელს მსურს, მივულოცო დღევანდელი დღე. აღნიშნული ბაღი ნამდვილად იძლევა საშუალებას ჩვენმა შვილებმა მიიღონ თანამედროვე სტანდარტების განათლება. ბაღის პროფესიონალი თანამშრომლები და აქ არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა იმის საშუალებას, რომ მე-3 ბაგა ბაღი გახდეს საპილოტე და აქ ბევრი ახალი პროექტი დაინერგოს. მნიშვნელოვანია ამ კუთხით აქტიური თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფილურ არასამთავრობო სექტორთან, რათა აღსაზრდელთა სწავლება მეტად საინტერესო, მრავალფეროვანი და უფრო თანამედროვე გახდეს. მზად ვარ, ამ კუთხით აქტიურად ჩავერთო პროცესში.

ჟუჟუნა ცხადაძე

მადლიერი ბენეფიციარები...

როგორც ცნობილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი 2023 წლის იანვარში დამტკიცდა. ეს მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს ისეთი სახლების შეკეთებას, რომლებიც ძლიერ დაზიანდნენ ხანძრის, ან სტიქიის შედეგად. ამავე პროგრამით ხდება აგრეთვე მცირეფართიანი ინდივიდუალური ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და მათთვის დაზარალებულ ოჯახებზე გადაცემა.

წელს ამ პროგრამით 10 სახლის მშენებლობა იყო გათვალისწინებული. ხუთმა ოჯახმა უკვე მიიღო ახალი საცხოვრისი, 5 ოჯახიც მალე იზეიმებს ახალმოსახლეობას. ჩვენ რამდენიმე ოჯახის წევრს გავესაუბრეთ, განუზომელია მათი სიხარული.

„არის შემთხვევა, როცა სიტყვა უძლურია“

...ეს ალისუბნელმა ფიქრია მეგრელიშვილმა თქვა. ქალმა, რომელსაც ორი, ოცი და თოთხმეტი წლის შვილი ჰყავს, მადლობა ასე გამოხატა—ვვოცნებობდი სახლი მქონოდა, ოცნებობდნენ და ოცნებაში დაიზარდნენ ჩემი შვილები. ბედნიერი დად-

გა ჩვენთვის 2023 წელი, ახლახან ახალმოსახლეობა ვიზეიმეთ, ახალი წელი, ახალ სახლში ეს მშვენიერია, მადლობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს, მშენებლებს, ყველას, ვისაც მცირე წვლილი მაინც აქვს იმ ბედნიერებაში, რასაც განვიცდით მთელი ოჯახი.

ქალბატონი ფიქრია კმაყოფილია იმითაც, რომ, როგორც სოციალურად დაუცველი დაასაქმეს და 300 ლარი, რომელსაც იღებს, დიდი შეღავათია.

ღვანკითელი ზურაბ ჯოხაძე დედასთან ერთად ცხოვრობს. დედა 69 წლისაა და ბედნიერია, რომ აწი გასავლელ წლებს ახალ სახლში გაატარებს. ზურაბმა თქვა, რომ საკუთარი სახსრებით ახალ სახლს ვერ ააშენებდა, მითუმეტეს ახლა, როცა ასაკიც მოსდევს. „მადლობა და ბევრჯერ მადლობა იმ სიხარულისათვის, რაც ახალი სახლით განვიცადეთ მე და ჩემმა ასაკოვანმა დედამ, გაიხაროს ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა და ყველამ, ვინც დამეხმარა“.

ძევრელი ზვიად კუტალაძეც ბედნიერია, მასაც აუშენეს საცხოვრებელი სახლი, ეს იქნება პირველი ზამთარი, პირველი ახალი წელი თბილად და მყუდროდ. ზვიადს და მის მეუღლეს მაგდას სამი 15 წლამდე შვილი ჰყავთ. მაგდა მუშაობს. ზვიადი ახლახან დაასაქმეს, როგორც სოციალურად დაუცველი და 300 ლარს იღებს, რითაც კმაყოფილია. „სახლის მშენებლობის დაწყება დაუჯერებელი მეჩვენა, მაგრამ სამშენებლო



მასალები რომ მოიტანეს და მუშაობას შეუდგნენ განვიცადე უდიდესი სიხარული და დამეუფლა განცდა, რომ სასწაული არსებობს. კმაყოფილი ვარ და ბედნიერი, ენერგიაც მომემატა თითქოს. მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, მშენებლებს, ყველას, ვისაც რაიმე წვლილი აქვს ჩემი სახლის მშენებლობაში“.

თითოეულმა მადლობის სიტყვები არ დაიშურა სოფელში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მისამართით, ხაზი გაუსვეს მათ ძალისხმევას.

ამ ოჯახების ყველა წევრი სრულწლოვანია, ან იმ ასაკშია, რომ გათვითცნობიერებული აქვთ სახლების აშენების სიხარული, ერთგვარი პასუხისმგებლობა, იმის შეგრძნება, რომ სიტყვით, კარგი სწავლით, კარგი საქმეების კეთებით გამოხატონ მადლიერება და ამ განცდით იცხოვრონ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების, მშენებლების, სოფლების წარმომადგენლების კი არა, გაზეთ „თერჯოლის“ მიმართაც გამოხატეს მადლიერება—საჯაროდ მადლობის თქმის საშუალება რომ მიეცათ.

ჟუჟუნა ცხადაძე

როგორ სრულდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

ახალთერჯოლა

ამ პროგრამით ახალთერჯოლაში მიმდინარე წელს 5 პროექტი განხორციელდება. ეს პროექტებია: სოფლის სხვადასხვა უბნებში ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა, ახალთერჯოლაში გარე განათების მოწყობა, გარე განათების მოწყობა სოფლის ცენტრიდან დევიძეების უბნამდე, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა სოფლის სხვადასხვა უბნებში, გარე განათება ბოსელაში.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის გიგა კუბლაშვილის ინფორმაციით—სოფლის ერთ უბანში დამთავრდა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა, გარე განათება სოფლის ცენტრიდან დევიძეების უბნამდე გაკეთდა განათების ბოძები, დაწყებულია სხვა პროექტის სამუშაოები. ყველა პროექტი წლის ბოლომდე დამთავრდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სოფელში დამამთავრებელ ეტაპზეა წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს მოსახლეობის გამრიცხველიანება. სამუშაოებს რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს.

მალე ახალთერჯოლელებს სასმელი წყალი ექნებათ და ამ სიკეთით 580 ოჯახი ისარგებლებს.

სიქთარვა

სიქთარვა ჩხარი-ეწერში 6 პროექტი დამტკიცდა. გარე განათების მოწყობა სიქთარვაში, ბაღის ეზოს შემოღობვა, მგზავრთა მოსაცდელი სოფლის ცენტრში, ინერტული მასალების შემოტანა-გაშლა, ბოგირების მოწყობა ჩხარი-ეწერში, ჩხარი-ეწერში გრუნტის სანიაღვრე არხის მოწყობა გატანით.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის გიზო ხანიაშვილის თქმით დამთავრდა სოფლის ცენტრში მგზავრთა მოსაცდელი, შემოიღობა საბავშვო ბაღის ეზო, მოეწყო სანიაღვრე მემანიშვილების-ვერულაშვილების და კახიძეების უბანში, შემოიზიდა ინერტული მასალები, მიმდინარეობს მისი გაშლის სამუშაოები, მოეწყო გარე განათება სოფლის ამბულატორიიდან კახიძეებამდე, 16 ერთეული სანათით.

საზანო

საზანოში რვა პროექტი დამტკიცდა. საზანოში გარე განათების მოწყობა, 28 მაისის უბანში წყლის სისტემის მოწყობისათვის სამშენებლო მასალების შეძენა, ჩიხორში ინერტული მასალის შეტანა და გაშლა, მუჯირეთში ცხაურის მოწყობა, მუჯირეთში ინერტული მასალის შეტანა და გაშლა, სკანდეში საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გიორგი ჩუბინიძემ გვითხრა, რომ ჩიხორში ცხაურები უკვე მოწყობილია, დაყენებულია გარე განათების ბოძები და მიმდინარეობს კაბელის გაჭიმვა, სკანდეში დაწყებულია ბეტონის გზის დაგება.

პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო ისე როგორც ყველგან, უახლოეს პერიოდში დამთავრდება.

ჟუჟუნა ცხადაძე

ქალაქ თერჯოლის ყველა ოჯახს მუდმივი წყალმომარაგება ექნება...

მკითხველის ყურადღებას არ გადავღლით იმის განმარტებით თუ რა აუცილებელია წყალი ყველა ოჯახის საჭიროებისთვის და საერთოდ ადამიანის არსებობისთვის, მაგრამ ერთია საჭიროება და მეორე ის, თუ როგორ მარაგდება იგი ამ აუცილებელი პროდუქტით.

ამასთან დაკავშირებით კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ არა მარტო ქალაქ თერჯოლაში, არამედ მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში, ადგილობრივ ხელისუფალთა ძალისხმევით, წყლის დეფიციტის პრობლემა ძირითადში მოგვარებულია. ამჯერად ქალაქზე შევჩერდები, სადაც 3000-მდე აბონენტი 24 საათიან წყალმომარაგებით სარგებლობს.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თერჯოლის ფილიალის, წყალთამეურნეობის მუშაკები, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წყალგაყვანილობის სისტემამ გამართულად იმუშაოს და მოსახლეობაზე წყლის მიწოდების რეჟიმი არ დაირღვეს.

კონკრეტულად რა კეთდება საამისოდ, გვესაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელი ელისო ქოჩიაშვილი. აქვე ვიტყვით, რომ ქალბატონი ელისო უკვე 5 წელია, რაც ხელმძღვანელის ამპლუაშია, უნარიანად წარმართავს საქმიანობას და შრომით კოლექტივში, და არა მარტო, სიტყვით და ავტორიტეტით სარგებლობს. მისი წარმატებული მუშაობა არაერთგზის აღნიშნულა ზემდგომი უწყებების მადლობებით და წამახალისებელი ჯილდოებით.

ჩემი წყალთამეურნეობაში მოსვლა, ამბობს ელისო, დაემთხვა პერიოდს, როცა ქალაქში წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია ხდებოდა. ძირითადში მთლიანად შეიცვალა ძველი ამორტიზებული გაყვანილობა. ოჯახებში დაიდგა მრიცხველები და ჩაირთო 24 საათიანი წყალმომარაგება. დღეისათვის 3000-მდე ოჯახი მუდმივი წყლითაა უზრუნველყოფილი. ეს მეტად რთული პროცესია და სამუშაოები ცალკეულ ქუჩებს და ქალაქის განაპირა უბნებში დღესაც გრძელდება. მაგ. ჯაბიძის ქუჩაზე მიმდინარეობს ძველი ქსელის რეაბილიტაცია, რის შედეგად ამ ქუჩის 160 ოჯახი უწყვეტად მიიღებს წყალს. მიმდინარეობს ახალი ქსელის მშენებლობა, რითაც ტელეფა-რუფოთის 800-მდე ოჯახი ისარგებლებს მუდმივი წყალმომარაგებით. მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება. მალე გამოცხადდება ტენდერი სხვა ამორტიზებული სისტემის შესაცვლელად, კერძოდ: ქალაქში—რუსთაველის, რობაქიძის, პუშკინის ქუჩების და სიქთარვის ნაწილი უბნების მოსახლეობისათვის წყლით უწყვეტად მოსამარაგებლად. იგეგმება საპოვნელაზე ახალი 2000 ტონიანი რეზერვუარის მშენებლობა.

ქალაქის მოქმედი წყალგაყვანილობის ქსელი 60 კმ-მდეა, რაც ყოველდღიურ ყურადღებას და არცთუ იშვიათად, ზოგჯერ სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს. პირადად მე და შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს დიდი ძალისხმევა გვჭირდება ხოლმე, რომ დაზიანებები უმოკლეს დროში იქნას აღმოფხვრილი. ყოველი მათგანი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს, მათ შორის საავარიო ჯგუფის უფროსი დავით ლომიტაშვილი, კანალიზატორი მურმან დოლაკიძე, ელშემდუღებელი როსტომ ლილუაშვილი, წყალმომარაგების ზეინკალი უშანგი მაკარიძე და სხვები.

მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო ის აქტიური დახმარება და მხარდაჭერა, რომელსაც გვიწევს მუნიციპალიტეტის მერია, პირადად მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, რომ არა მისი მზრუნველი დამოკიდებულება, სისტემატიური დახმარება ტრანსპორტით და სხვა ტექნიკური საშუალებებით, გაგვიჭირდებოდა სისტემაში რიგი ავარიული შემთხვევის აღმოფხვრა, როგორც ეს მოხდა ამას წინ, სიქთარვაში წყლის დებეტის შემცირების დროს.

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, არის შემთხვევები, როცა გვიხდება წყლის მიწოდების შეწყვეტა ცალკეული უბნების მოსახლეობისათვის. ესემესებით ვაფრთხილებთ კიდეც მათ ამის შესახებ. გვინდა გაგებით მოეკიდონ ყველანი ასეთ ფაქტებს, სჯეროდეთ, რომ პრობლემა უმალ აღმოიფხვრება და კიდევ—არის სიახლე, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში ამოქმედდა ცხელი ხაზი: 293-00-00. შეგიძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში დაუკავშირდეთ კომპანიას.

ესაუბრა ი. ერაძე

27 ოქტომბერი—მასწავლებლის ეროვნული დღე

...ამ დღეს გამოვლინდება წლის საუკეთესო მასწავლებელი. მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ კოლექტივებში აუცილებლად იქნებიან პედაგოგები, რომლებთაც განსაკუთრებული წვლილი აქვთ მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოების და თემის განვითარებაში. მუნიციპალიტეტის 537 მასწავლებელს, რომელთაგან 17 მენტორია, 169 წამყვანი და დანარჩენი უფროსი, ე.ი ყველა პედაგოგი სტატუსიანია, ვულოცავთ მასწავლებლის ეროვნულ დღეს და წარმატებებს ვუსურვებთ მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდ საპატიო საქმეში.

ბევრი თერჯოლელი პედაგოგის ისტორია გაუძლებს მოთხოვნებს, დააკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს და გახდება მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი.

წარმატებები თითოეულს.

გაზეთი „თერჯოლა“ კი კვლავაც გამოაქვეყნებს მასალებს თერჯოლელ პედაგოგებზე, მათ მიღწევებსა და წარმატებებზე, ხედვებზე. ვინ იცის იქნებ ესეც იქნეს ერთგვარი სტიმული.

ამჯერად გთავაზობთ კვახჭირის საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებლის, მარეხი ყვავაძის მიერ განვლილ გზას, მიღწევებს, პედაგოგიურ გამოცდილებას.

მენტორის განმარტება: მენტორული—დამრიგებლური. ჰომეროსის პოემა „ოდისეას“ მთავარი გმირის (ოდისევსის) შვილის ტელემაქეს გამზრდელის—მენტორის სახელის მიხედვით.

მენტორის სტატუსით და საინტერესო ხედვით...

ექიმობა უნდოდა, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო და ჭირდა სამედიცინო უნივერსიტეტში მოხვედრა, 3 წელი აბარებდა მისაღებ გამოცდებს, მაგრამ ვერ ჩაირიცხა და ახლა კმაყოფილია. სიღრმისეულად ვინც გაეცნობა კვახჭირის საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგს, მარეხი ყვავაძის პედაგოგიურ მრწამს, დამეთანხმება, რომ ქალბატონმა მარეხმა სამი წელი დაჰკარგა, რადგან იგი, ბოდიში კატეგორიული ტონისთვის, მაგრამ შეიძლებოდა ვერ იქნებოდა ისეთი ექიმი, როგორი პედაგოგიც არის. ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურდამთავრებულმა—ქიმია-ბიოლოგიის სპეციალისტმა საინტერესო პედაგოგიური გზა გაიარა. მენტორი მასწავლებლის სტატუსი 2019 წლიდან აქვს, მაგრამ გასავლელი წინაა, რადგან, როგორც თვითონ ამბობს—მასწავლებლობა აძლევს საშუალებას ეძებოს სწავლების არაორდინალური გზები, რომელიც მისთვის ექსპერიმენტია და მოსწავლეებისათვის სასიამოვნო პროცესი. მოსწავლეები გაკვეთილზე სწავლობენ, თვითონ კი მათზე დაკვირვებით იზრდება...

ქალბატონმა მარეხმა 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და აქვს დოქტორის წოდება. 1991-2012 წლებში მუშაობდა ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო დეპარტამენტში სპეციალისტად, 2002-2011 წლებში კითხულობდა ლექციებს სამედიცინო ინსტიტუტ „ქუთაისი“-ში, როგორც ასოცირებული პროფესორი. იყო ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის სამედიცინო სკოლაში ადმინისტრაციული რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, მუშაობდა რამდენიმე კერძო სკოლაში უფროსი მასწავლებლის სტატუსით. 2016 წლიდან მუშაობს კვახჭირის საჯარო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად, აქედან იწყება ქალბატონ მარეხის კარიერული წინსვლა. 2018 წელს სქემის ფარგლებში მიენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, პარალელურად მუშაობს ქ. ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის მე-3 საჯარო სკოლაში და აფხაზეთის მე-5 საჯარო სკოლაში. როგორც ვთქვით არის მენტორის სტატუსის, აქტიურად არის ჩართული პედაგოგიურ მუშაობაში, მონაწილეობს მასწავლებელთა კონფერენციაში, გავლილი აქვს „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ყველა ტრენინგი, არის რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორი, გამოცემული აქვს წიგნი „უცხოური ქიმიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური ტერმინების მოკლე განმარტებანი“, რომელიც შეუძლია გამოიყენონ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა.

„მიყვარს ვიყო მასწავლებელი“...

32 წელია ემსახურება საყვარელ საქმეს და მიაჩნია, რომ მასწავლებლობაზე უკეთესი პროფესია არ არსებობს, რომ ბავშვებთან ურთიერთობა და მათ განვითარებაში წვლილის შეტანა ბედნიერებაა, თანაც მუდამ მოზარდი ხარ, მათსავით აზროვნებ, მსგავსი გემოვნება გიყალიბდება, იცი რა არის მოდაში, რომელი მომღერალი ან მსახიობია აქტუალური, რომელი ფირმის ყურსასმენები სჯობს და ა.შ. ქალბატონმა მარეხმა ზუსტად იცის, რომ მუდამ სკოლის მასწავლებელი იქნება, ბევრჯერ უთქვამს მოსწავლეებისათვის, რომ ისიც მათთან ერთად სწავლობს.

ჭკვიანი ბავშვის მართვა

...„თუ კლასი სანიმუშოა, მასწავლებელიც ძლიერია, ცოდნის დონის ამაღლების მოტივაცია უჩნდება და თავის თავზე მეტს მუშაობს. სუსტ კლასთან მასწავლებელიც მოშვებულია. მოსწავლეებს ვეუბნები, რომ მომავალი საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნებისაა. მომყავს ფილმების მაგალითები, ვაკითხებ წიგნებს, ვაცნობ ყველაზე დაფასებულ და დიდ ანაზღაურების მქონე მეცნიერებს, მაგრამ ძნელი გამოდგა დარწმუნება, პრესა და ტელევიზია მეცნიერებაზე იშვიათად საუბრობს, შესაბამისად ბავშვებისთვისაც არამომხიბლავი სფეროა. ცდების ჩატარება ყველას აინტერესებს, მაგრამ ქიმია ფოკუსი და ფოიერვერკი არაა, ქიმია უნდა გაიგო, გააანალიზო და გამოიყენო. ეროვნული გამოცდების სტატისტიკას თუ გადავხედავთ ქიმიასა და ფიზიკას ცუდი შედეგები აქვს. ამ საგნების მიმართ მიდგომა შესაცვლელია—აუცილებელია სკოლების თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვა, საათების მომატება, სახელმძღვანელო უნდა იყოს მოსწავლისათვის მარტივ აღსაქმელი და უფრო მეტი სავარჯიშოებით იყოს გამდიდრებული. მყავს ბეჯითი, ნიჭიერი მოსწავლეები, მყავს ზარმაციც და ცელქიც, მაგრამ ჩხირკედელა, ასეთებს პრაქტიკული ნაწილი უფრო გამოსდით. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება მე-7 კლასიდან იწყება, უმნიშვნელოვანესია დაწყებითი მასწავლებლის როლი, რადგან ბავშვს ამ პერიოდიდან უნდა შეაყვარო სწავლაც და საგანიც. მაგ. მათემატიკა ლოგიკური აზროვნების მთელი ჯაჭვია, ამ სამყაროს გასაღები დაწყებითი მასწავლებლის ხელშია. ვცდილობ გაკვეთილები ჩავატარო მუდმივი დიალოგის რეჟიმში. სამწუხაროდ, მოსწავლესაც და მშობელსაც ხშირად ნიშანი აინტერესებს, შეფასებაზე არიან ორიენტირებულები, მასწავლებელიც ამ პროცესში იძულებით ერთვება, მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ყველაზე რთული ჭკვიანი ბავშვის მართვაა, მათთან სულ სხვა მიდგომა და გამომგონებლობა არის საჭირო, საჯარო სკოლებში მინიმალური შესაძლებლობაა, მაგრამ ვცდილობ შეძლებისდაგვარად ჩავატაროთ ცდები, მარტივი, სახალისო ექსპერიმენტები, ზოგჯერ ბავშვს ხელსაწყოებსაც ვამზადებინებ. მაგ. ელექტროგამტარობის შესამოწმებელ ხელსაწყოებს, მარტო წიგნებით ქიმიას ვერ შეაყვარებ მოსწავლეს, ზოგჯერ რაღაცა უნდა აუფეთქო, მიკროსკოპში ჩაახედო, თვალნათლივ დაანახო, რომ ჩვეულებრივი წყალი უფრო ელექტროგამტარია, ვიდრე წვიმის და ა.შ.“

არა—სტანდარტულ გაკვეთილებს

ქალბატონი მარეხი ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორების პროფესიული განვითარების“ პროგრამაშია ჩართული, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებას საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნებში. ამ პროგრამის საშუალებით მიღებული ცოდნით უფრო ეფექტური ხდება სასწავლო პროცესი, იგი ხშირად ატარებს ექსპერიმენტს, მოსწავლეები პირადად არიან ჩართულნი და ინტერესების მიხედვით გეგმავენ რა სახის ცდებს ჩაატარებენ, ექსკურსიებით კი, რომელსაც ხშირად ატარებს, თეორიებთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც აძლევს მოსწავლეს. მას არ ხიბლავს სტანდარტული გაკვეთილები, მარტო თეორიული სწავლებით ვერ მიაღწევ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს-ო ამბობს.

მიიღე და მოუსმინე ყველა მოსწავლეს

„ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე შევძელი გამეთვითცნობიერებინა რომ ღმერთმა „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, რომელიც გულისხმობს ყოველი მოსწავლის მიღებას და მოსმენას, განურჩევლად შესაძლებლობებისა, შეხედულებებისა, ვისწავლე თითოეულის პატივისცემა, ინდივიდუალური მიდგომა, მივხვდი მთავარს—არ არსებობს მოსწავლე, რომელსაც ვერ დააინტერესებ საგნით, რომელსაც ქიმია ჰქვია.

„ვცდილობ, ჩემთვის და ჩემი მოსწავლეებისათვის გაკვეთილები არ იყოს მოსაწყენი, დამღლელი, სასწავლო პროცესისაგან ვიღებ სიამოვნებას, მასწავლებლობა მუდმივ განვითარებასთან, შრომასთან, დიდ პასუხისმეგებლობასთან არის დაკავშირებული—ამბობს ქალბატონი მარეხი და სწავლებაში მიზნობრივად იყენებს ბავშვების მიერ დამზადებულ თუ სხვა რესურს, ადვილად ამყარებს საგანთა შორის კავშირს, სვამს მრავალფეროვან კითხვებს, რომელიც მოსწავლისაგან მოითხოვს ფიქრს, აზრს, მსჯელობას. როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს მოტივაციის ამაღლებაში და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, ნათლად არის ჩამოყალიბებული სატრენინგო მასალებში, რომელსაც კარგად იყენებს, „ჩემი პროფესიული მიზანია მოსწავლეებისათვის ქიმია ვაქციო საყვარელ საგნად, რომელსაც ზოგი პროფესიულ გზად აირჩევს, ზოგი კი საგნის მოყვარული დარჩება“—ამბობს მარეხი მასწავლებელი და ბედნიერებას ჰპოვებს მასწავლებლის პროფესიაში და ოჯახში.

მას სამი შვილი ჰყავს, სამივე ერთმანეთისაგან განსხვავებულები და ყოველთვის ჭირდებოდა მათთან სხვადასხვანაირი მიდგომა. უფროსი შვილი სალომე წარმატებული ექიმია, ჰყავს მეუღლე ასევე წარმატებული ექიმი, და შვილი. მეორე გოგონა, ქრისტინე საბანკო საქმის და ფინანსების სპეციალისტი ლიბერთი ბანკის ანალიტიკურ სამსახურშია და წარმატებულიც, ვაჟი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეექვსე კურსის სტუდენტია, მუშაობს ჯერარსის და გიდმედის კლინიკაში, მეუღლე ავთანდილ წერეთელიც ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურშია.

მკაცრი დედა ყოფილა ქალბატონი მარეხი და შედეგიც სახეზეა.

წარმატებული მენტორი მასწავლებელია და შედეგიც სახეზეა.

უყვარს მოსწავლეები, უყვარს საგანი, სკოლა და გაკვეთილები მისთვის ყველაფერია და შედეგიც სახეზეა—უყვართ და აფასებენ მარეხ მასწავლებელს.

ჟუჟუნა ცხადაძე

27 ოქტომბერი—მასწავლებლის ეროვნული დღე

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შრომით მოპოვებული წარმატებაა...

მასწავლებლის პროფესიული დღესასწაული საერთაშორისო ვებინარის მონაწილეებს საერთაშორისო სტაჟირების უნივერსიტეტმა ლამაზი სერთიფიკატით მიულოცა, რომელთა შორისაა თერჯოლის, სოფ. ღვანკითის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი მადიმ დოლაკიძე. მადიმ დოლაკიძე ერთ-ერთი იმათთაგანია, ვისაც დიდი წვლილი შეაქვს თერჯოლელი მომავალი თაობის სწავლა-განათლებისა და ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდის საქმეში.

დაიბადა თერჯოლაში, დაამთავრა თერჯოლის მეორე საჯარო სკოლა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინებით. მუშაობა დაიწყო ღვანკითის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. პარალელურად თანამშრომლობდა ჩვენი გაზეთის რედაქციასთან. იყო სკოლის ორგანიზატორი და შემდეგ ღვანკითის თემის საკრებულოს თავმჯდომარე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში მუშაობდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სომხურენოვან სკოლაში. ამჯერად კვლავ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ღვანკითის საჯარო სკოლაში.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

უფრო მეტს მადიმ დოლაკიძის 36 წლიანი ძალზე საპასუხისმგებლო და მრავლისმომცველი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.

ქალბატონო მადიმ, დღეს სკოლა, მასწავლებელი დიდი გამოწვევის წინაშეა. განათლება ის უალტერნატივო სივრცეა, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას ანუ „მომავალი განათლებაშია“, როგორი უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი?

მასწავლებლის პროფესია დიდ პასუხისმგებლობასთან, მუდმივ განვითარებასთან და დაუღალავ შრომასთანაა დაკავშირებული. მასწავლებლობა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, როცა ბავშვის ანთებულ თვალებს უყურებ პრობლემები გავიწყდება და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ გაულამაზო მოსწავლეს ყოველდღიურობა, ამიტომ ამ პროფესიას ვერაფერზე გავცვლი, მიუხედავად სირთულისა. მასწავლებელზეა დამოკიდებული როგორ შეაყვარებს მოსწავლეს საგანს და გახდის სასწავლო პროცესს მრავალფეროვანს. ამიტომ ინტერაქტიური მეთოდების, სახალისო აქტივობების, როლური თამაშების, სხვადასხვა პროგრამაში ჩემ მიერ მომზადებული ელექტრონული რესურსების გამოყენებით ვქმნი ინოვაციურ სასწავლო გარემოს სკოლასა და კლასში. სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, ის ღირებულებებია, რომელზეც იზრდებიან თაობები სკოლაში, რომელშიც უკვე 36 წელია ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას, სამშობლოსა და ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ჩვენი ენისა და ერთმანეთის სიყვარულს თაობებს.

როგორი უნდა იყოს მასწავლებელი?

მასწავლებელი უნდა იყოს ინოვატორი, ლიდერი, თანამშრომელი. კარგი მასწავლებელი კრეატიულია. კრეატიულობას უამრავი განმარტება აქვს, მაგრამ ყველა მათგანი გულისხმობს შაბლონური, სტერეოტიპული აზროვნების წინააღმდეგ გალაშქრებას, საინტერესოს, ახლის შექმნის, ბანალურობისთვის გვერდის ავლის უნარს, ორიგინალური გადაწყვეტილებებისა და იდეების გენერირებას. კარგი მასწავლებლის კრიტერიუმები ალბათ ნაკლებად სადავოა. დაფრთიანებულ, ზრდასრულ ყოფილ მოსწავლეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახსოვს კარგი მასწავლებელი, ღიმილით და მადლიერებით იგონებს მას. კარგი მასწავლებელი მოსწავლეებისთვის სანდო და საიმედო საყრდენია.

რატომ აირჩიეთ პედაგოგის პროფესია?

პედაგოგის პროფესია ბავშვობიდანვე მიტაცებდა. დედა თამარ მაჭავარიანი ბაგა-ბაღის აღმზრდელი იყო, მამიდა თამარ დოლაკიძე—დაწყებითი კლასების მასწავლებელი. ისინი ჩემთვის მოდელები იყვნენ. ასევე ეს პროფესია შემაყვარეს ჩემმა მასწავლებლებმა, რომელთა გულწრფელი სიტყვები ახლაც ჩამესმის. დიდი სიყვარულით ვიხსენებ ჩემს პედაგოგებს, ბატონებს: სიმონ გაბრიჭიძეს, გურამ ბარდაველიძეს, რამინ ძოწენიძეს, ამირან მარუაშვილს, ქალბატონებს: დალი სარალიძეს, მადონა გაბელაშვილს, ნუნუ აბულაძეს, ციალა ქასრაშვილს, ზინა კავაძეს, ციალა არეშიძეს—ეს ადამიანები ჩემთვის იყვნენ და დღესაც არიან ეტალონი სიკეთისა და სიყვარულისა. ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ისინი ჩემში ცოცხლობენ, რადგან ნამდვილად უკვდავია ის პედაგოგი, რომელიც შეძლებს თავისი სული აღსაზრდელებს გაუნაწილოს. მათ კი შეძლეს თავიანთი სულის ნაწილი ჩემთვის გადმოეცათ.

რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს მასწავლებელი?

მასწავლებელი მუდამ დგას უამრავი გამოწვევის წინაშე. 21 წლის ასაკში დავიწყე პედაგოგობა, პირველი დიდი გამოწვევაც ეს იყო ჩემთვის, თითქმის ჩემი ასაკის გოგო-ბიჭებთან მიწევდა დამრიგებლობა და მასწავლებლობა. დღეს ჩემი მოსწავლეები არიან საუკეთესო ექიმები (მარიამ კუბლაშვილი), პარლამენტარები (მამუკა მდინარაძე), მასწავლებლები (იზა ბუსკივაძე, ხათუნა გავაშელაშვილი) ყველას ვერ დავასახელებ, რადგან ბევრნი არიან. გახარებული ვარ მიმდინარე სასწავლო წლის შედეგებითაც: ჩემი სადამრიგებლო კლასის ათი მოსწავლე სტუდენტი გახდა, მათ შორის მყავს ოთხი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, სამი მოსწავლე კი მაღალი ქულებით სახელმწიფო დაფინანსებით ისწავლის. ყველა პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩაირიცხა სასურველ სპეციალობებზე. აღნიშნული მოსწავლეებიდან ექვსმა მიიღო პრეზიდენტის საჩუქარი კომპიუტერი და ექვსივემ მედალზე დაამთავრა ღვანკითის საჯარო სკოლა. მინდა ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს დასაქმების მეტი შანსი ჰქონდეთ ჩვენს ქვეყანაში, სხვა შემთხვევაში მიგრაცია კიდევ უფრო გაიზრდება და თაობები დაგვეკარგება. გულისტკივილი მინდა გამოვხატო, იმის გამო, რომ მეორე წელია სხვა სკოლის ხიზნები ვართ და ჩვენს სკოლაში ჯერ კიდევ არ დაუწყიათ სარემონტო სამუშაოები. მადლიერები ვართ ჩვენი მასპინძელი თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის, სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ის ხომ ჩემი საყვარელი სკოლაა, სადაც მეშვიდე კლასიდან ვსწავლობდი. დიდი სიხარულია ჩემთვის ჩემი თაობის მიერ სკოლის

ეზოში გაშენებული ნაძვნარის ყოველდღიურად ხილვა, მაგრამ დამეთანხმებით ხიზნობა მაინც რთულია. იმედია, მალე გვექნება ჩვენი სკოლის რეაბილიტირებული შენობა. დღეს მოსწავლეები და მშობლები ყველაზე მეტად ამ მდგომარეობას განიცდიან.

დიდი გამოწვევა იყო ჩემთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა, გამარჯვება და სამცხე-ჯავახეთში არაქართულენოვან სკოლაში მისიონერობა. მისია კი იყო ნამდვილად პატრიოტული და საინტერესო—ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში, იქ, სადაც ქართულად არავინ საუბრობდა, სახელმწიფო ენა უნდა მესწავლებინა მოსწავლეებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ახლაც მომყვება ის სითბო და სიყვარული, რასაც სომეხი ეროვნების ბავშვები გამოხატავდნენ ჩემ მიმართ. მადლიერებას გამოვხატავ ნინოწმინდის რესურსცენტრის უფროსის, ბატონ დავით ზედგენიძის მიმართ, რომელიც რეგიონში ქართული ენის დაცვის სადარაჯოზე დგას მუდმივად. მას შემდეგ 9 წელი გავიდა და ჩემი მაშინდელი მეორეკლასელები: მამიკონი და შაშანიკი, სუსანა და რევიკი, ანაჰიტი და არევიკი, სევაკი და ალბერტი მომავალ წელს სკოლას დაამთავრებენ, მინდა ჩავიდე გონდრიოში (კონდურა) და სკოლის დამთავრება მივულოცო მათ, ისინი მელოდებიან და იმედებს ვერ გავუცრუებ.

გამოწვევის წინაშე დავდექით პანდემიის პერიოდში, მაგრამ სასწავლო პროცესი და საინტერესო პროექტები ონლაინ განვახორციელე. აღსანიშნავია, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ეროვნული ონლაინ პროექტი ქვეყნის მასშტაბით, რომლის ერთ-ერთი აქტივობა იყო კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული და არაქართულენოვანი საჯარო სკოლების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა. მათ შორის გამოვავლინე გამარჯვებულები, რომლებიც დავაჯილდოვე სერთიფიკატებით. გამარჯვებული ნაშრომები დავბეჭდეთ ელექტრონულ წიგნში.

წლების წინ ჟურნალისტის როლიც მოვირგე და გაზეთის რედაქციასთან აქტიურად ვთანამშრომლობდი. საინტერესო იყო სკოლის ორგანიზატორობის პერიოდიც. ასევე დიდი გამოწვევა იყო ჩემთვის ღვანკითის თემის საკრებულოს დეპუტატობა და შემდეგ გამგებლობა. ამ პერიოდში უამრავი სასოფლო-სამეურნეო თუ სოფლის კეთილმოწყობისათვის დაანონსებული პროექტები განვახორციელეთ—საუბნო გზების სანიაღვრე არხები გავიყვანეთ სოფლის ახალგაზრდების თანადგომით, საკრებულოს შენობაც გავარემონტეთ, უპურობისა და უფულობის ჟამს არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით სოფლის მოსახლეობისთვის შემოვიტანე პროდუქტები, ავაღორძინე კულტურული ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკა, სოფლის კულტურის ცენტრში ჩავატარეთ დიდი ღონისძიება: „წიგნი-ცოდნის წყაროა“. ასევე მინდა გითხრათ, რომ გამოვეცით სოფლის გაზეთი სახელწოდებით „ღვანკითი“, რომელშიც აისახა მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები. ფოლკლორისა და პოეზიის საღამოები (გიორგი ლეონიძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის) ჩემი ხელმძღვანელობით ტარდებოდა ღვანკითის კულტურის ცენტრში. გაკვეთილებით არაფორმალურ გარემოში მოსწავლეები განსაკუთრებით ინტერესდებიან, ასეთი ტიპის გაკვეთილები ჩავატარე ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმებში, პრომეთეს მღვიმეში. სასწავლო პროცესში აქტიურად ვგეგმავ ინტეგრირებულ და სამოდელო გაკვეთილებს. ვატარებ ინტელექტუალურ კონკურსებს, ვახორციელებ სასწავლო პროექტებს და გამარჯვებულ და აქტიურ მოსწავლეებს წახალისების მიზნით ვაჯილდოებ სიგელებითა და დიპლომებით. ერთ-ერთი გრძელვადიანი პროექტი „ვიცნობდეთ საქართველოს“ მოსწავლეთათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო. ჩვენ ერთობლივად მოვიარეთ საქართველო და შევისწავლეთ ღირსშესანიშნავი ადგილებისა და კულტურული ძეგლების ისტორია.

სკოლაში სისტემატურად ვუწევ მეგზურობას უნივერსიტეტების, მასწავლებლის ეროვნული სკოლისა და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც ჩემი მენტორობით წარმატებით გაიარეს პრაქტიკა ღვანკითის საჯარო სკოლაში.

დღეს კვლავ გამოწვევაა პედაგოგებისთვის სერთიფიცირებისა და კარიერული წინსვლის გამოცდები, რომლებიც პირველივე გასვლაზე 2010 წელს ჩავაბარე და გავხდი წამყვანი მასწავლებელი. ვმონაწილეობ ინდოეთის, ინგლისის, ნიგერიისა და საქართველოს პედაგოგების ერთობლივ პროექტებში. საერთაშორისო სტაჟირების უნივერსიტეტის მიერ დაანონსებულ ვებინარებში აქტიურობისათვის მიღებული მაქვს სერთიფიკატები და მასწავლებლის გლობალური ჯილდო—„გამოჩენილი მასწავლებელი“. ვესწრები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა თუ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაანონსებულ ტრენინგებს, რადგან მასწავლებელს არ აქვს მოდუნების უფლება. ის მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. ვარ ასევე საინტერესო კონფერენციის „მასწავლებელი მეგზური ევროპისაკენ“ მონაწილე.

მასწავლებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მოსწავლეებია, ვის გაიხსენებთ ამ წუთებში?

პირველ მოსწავლეებს ყოველთვის დიდი სიყვრულით ვიხსენებ და არასოდეს დამავიწყდება ერთი ნიჭიერი გოგონა, ლელა რობაქიძე, რომელმაც დამამთავრებელი კლასის ბოლო გაკვეთილზე ულამაზესი ექსპრომტი მომიძღვნა. იმ წუთებში თვალზეც ცრემლი მომერია და თან დიდი სითბოც ჩამეღვარა გულში. ამ სითბოთი და სიყვარულით მოვდივარ დღემდე და ესაა ჩემი მასაზრდოებელი.

აი ის ექსპრომტიც:

სილამაზით განთქმულია,
როგორც ტურფა ყვავილი,
ცისფერთვალა, ხმაკამკამა
იღიმება ვარდივით,
პირმცინარი, საოცარი,
ბუნებითაც კეთილი,
მართლაც მომხიბვლელი არის
იმისი გაკვეთილი.
არ გვშორდება ერთი წუთით,
როგორც კრუხი წიწილებს,
მასთან დამშვიდობებისას
ცხარე ცრემლით ვიტირებთ,
ჩვენი კლასის ხელმძღვანელი
სულ თან დაგვდევს ლანდივით.

ეს ბრძანდება ქალბატონი დოლაკიძე მადიმი.

მინდა გითხრათ, რომ პედაგოგების ოჯახში აღზრდილს, შემდეგაც პედაგოგის ოჯახში ყოფნა მარგუნა უფალმა. დედამთილი, დიდებული ქალბატონი ქეთევან ხაჭაპურიძე პედაგოგი და დამსახურებული ბიბლიოთეკარი გახლდათ. მიხარია, რომ ტრადიციას ძმისშვილი, დისშვილი და რძალი კვლავაც გააგრძელებენ. შვილებმა კი ტურიზმი და ინჟინერია აირჩიეს. მშრომელ ოჯახში აღზრდილი ყველაზე მნიშვნელოვნად შრომით მოპოვებულ წარმატებას მივიჩნევ. ვისარგებლებ შემთხვევით და მასწავლებლის დღეს მივულოცავ ჩემს კოლეგებს. გაზეთის რედაქციის მიმართ კი მადლიერებას გამოვხატავ დაფასებისა და მოწვევისათვის.

ესაუბარა
მზია ცქიფურიშვილი

თერჯოლაში ფეხბურთს თამაშობენ თერჯოლაში ფეხბურთი უყვართ...

აქ სისტემატურად იმართება ოფიციალური და სამოყვარულო, შიგა მუნიციპალური ტურნირები.

მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება, პირველ რიგში ახალგაზრდობა. ასპარეზობათა საცქერლად ასევე მოდიან ხანდაზმულნიც, არც ქალთა წრეა გულგრილი პოპულარული თამაშების მიმართ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით უკვე ჩატარდა სასოფლო ჩემპიონატი, ამჟამად კი მინი-ფეხბურთში თერჯოლის ტრაგიკულად გარდაცვლილი მერის ლაშა გოგიაშვილის სახელობის რაიონული ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც ადმინისტრაციული ერთეულებიდან 17 სამოყვარულო გუნდი მონაწილეობს.

ჩემპიონატის გახსნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, სხვა ოფიციალური პირნი, ასევე სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პირველ შეხვედრაში ალისუბნისა და ღვანკითის გუნდების დაპირისპირება ალისუბნელთა გუნდის გამარჯვებით (4:2) დასრულდა.

ტურნირის გამარჯვებული და გარდამავალი თასის მფლობელი თერჯოლლობის დღეს გამოვლინდება.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის თასის გათამაშება

თერჯოლა-საჩხერე

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში გრძელდება. 6 ოქტომბერს თერჯოლაში ერთმანეთს თერჯოლისა და საჩხერის თვითმმართველობის წარმომადგენლობით დაკომპლექტებული გუნდები დაუპირისპირდნენ.

საფეხბურთო მატჩს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე საჩხერის მუნიციპალიტეტის მერთან, ლევან ივანაშვილთან და რწმუნებულის ადმინისტრაციის სამსახურის უფროს დავით გორდელაძესთან ერთად ესწებოდა.

მშვიდი, წყნარი, თბილი ოქტომბრის დღე იდგა. საღამორელე ოდნავ აგრილდა...

თერჯოლის უკვე პოპულარული ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი აღარ უცხოობს უცხო სტუმრებს.

მოასპარეზეთ გულითადად მიესალმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე და ლამაზი ფეხბურთის თამაში უსურვათ.

ტრიბუნები კი სავსე იყო მაყურებლებით, ახალგაზრდობა სჭარბობდა, მრავლად იყვნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, ქალაქის და სოფლების მცხოვრებნი.

თამაში ლამაზი სანახავი გამოდგა. ორმხრივ შეტევებში კი ფორტუნამ სტუმრებს უწყალობა (6:2).

რას ვიზამთ, ბურთი მრგვალია!

ბოლოს, ფეხბურთის მოყვარულთა განწყობისთვის ისმება კითხვას: **მაინც რა არის ფეხბურთის თამაშში მთავარი?**

შემართება? რწმენა? შეგონება? თუ...

ნუგზარ გამყრელიძე

შეკითხვის სწორი პასუხი: **ბურთის მეტოქის კარში შეგორება!**

წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის...

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, საბაზო საფეხურის, 55 წარჩინებულ მოსწავლეს საჩუქრად პორტატული კომპიუტერი გადაეცა.

დღეს, საჯარო სკოლების წარმატებულ მოსწავლეებს კუთვნილი კომპიუტერები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით გოგბერაშვილმა, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ელისო მურადაშვილმა რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ქეთევან შეყრილაძესთან ერთად გადასცეს.

„ძალიან მახარებს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ამდენი წარმატებული, გონიერი და მიზანდასახული მოსწავლეა. გასულ წელთან შედარებით რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა, რაც თქვენი შრომისა და მონდომების დამსახურებაა. აქვე მინდა გაცნობოთ, რომ მიმდინარე წელს გრანტიანი სტუდენტებისთვის დაწესებული ფულადი ჯილდო 45 სტუდენტს უკვე დაერიცხა და საბუთების წარმოდგენის შემდეგ ეტაპობრივად გაგრძელდება. ძვირფასო ახალგაზრდებო, გახსოვდეთ, რომ ჩვენ ყოველთვის თქვენს გვერდით ვართ, გავიზიარებთ თქვენს წარმატებას და დაგიჭერთ მხარს ინიციატივების განხორციელებაში“—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე.

ღონისძიებას საგანმანათლებლო რესურსცენტრის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები ესწრებოდნენ.

22 ოქტომბერს „თერჯოლობაა“! გიწვევთ!

მიზანი—ახალგაზრდებმა შეისწავლონ სამხედრო საქმე

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად საჯარო სკოლებში, ქვეყნის მასშტაბით, განხორციელება დაიწყო საპილოტე პროგრამამ, რომლის მიზანია ახალგაზრდებმა სკოლის მერხიდანვე შეისწავლონ სამხედრო საქმე.

გამოცემულია სპეციალური სახელმძღვანელო „სამხედრო საქმე“ IX კლასის მოსწავლეებისათვის. სწავლების არსი დეტალურადაა განმარტებული წიგნის შესავალში, სადაც ვკითხულობთ: თავდაცვის ძალები საქართველოში ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული პატივისცემის ობიექტს. რაც შეეხება სამხედრო საქმეს, იგი უძველესი დროიდან იღებს სათავეს და წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს პროფესიას, რომლის მთავარი მიზანია დაიცვას გარშემომყოფები საფრთხისაგან. სახელმძღვანელოში თავმოყრილი ინფორმაცია ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მეტი ინფორმაცია მიიღონ საქართველოს თავდაცვითი ძალების შესახებ, ვინ და როგორ შეიძლება გახდეს სამხედრო პირი, შეიძინონ პრაქტიკული უნარები, რომლებიც მათ დაეხმარებათ დაიცვან როგორც საკუთარი და გარშემომყოფთა უსაფრთხოება, როგორც კრიზისულ, ასევე მშვიდობიან პერიოდში, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა კი სახელმწიფოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების, ადამიანის უფლებების და მოვალეობის დაცვის, ასევე ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის.

ადამიანის გარემოზე ზემოქმედების შედეგად უკანასკნელი ათწლეულების განმალობაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების სიხშირე და მათი თანამდევი ადამიანური და მატერიალური დანაკარგების მასშტაბი. ამ მხრივაც, ახალგაზრდებზე აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ კონკრეტული კრიზისული სიტუაციების დროს თუ ველურ ბუნებასთან პირდაპირ დარჩენისას, მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ამ გზით შეძლებენ, პირველ რიგში, დაიცვან მათივე ჯანმრთელობა, მეორე რიგში კი ოფიციალურ უწყებებს გაუადვილებენ აქტივობას კატასტროფების შედეგების პრევენციის კუთხით მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

წიგნი პოლიგრაფიულად შესანიშნავადაა გაფორმებული, ილუსტრირებულია, რათა იგი მიმზიდველი იყოს მოსწავლეებისათვის საკითხავად. საპილოტე პროგრამამ უკვე დაიწყო რეალიზება მუნიციპალიტეტში, კერძოდ: საბაზოდ აღებული იქნა ქალაქ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა, სადაც უკვე შეუდგნენ სამხედრო საქმის შესწავლას დაწესებულების აღსაზრდელები—მეცხრეკლასელები (მეცხრე კლასიდანაა რეკომენდირებული სწავლება), საგნის სწავლებას წარმართავს თადარიგის პოლკოვნიკი გია ლილუაშვილი.

გვქონდა საშუალება გავსაუბრებოდით ბატონ გიას. საპილოტე პროგრამა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლების, დოქტრინების განვითარების ცენტრის მიერ, გვეუბნება გია, ემსახურება მიზანს მოსწავლე-ახალგაზრდობა სკოლის მერხიდანვე ეზიაროს სამხედრო საქმეს, შეისწავლოს სამხედრო სამსახურის, შეიარაღებისა და საველე უნარების საფუძვლები. აქვე დავსძენ, რომ მის შემუშავებაში აქტიურად ვიყავით ჩართული ვეტერანი ოფიცრები. სულ რამოდენიმე გაკვეთილი ჩავატარე „სამხედრო საქმის“ სახელმძღვანელოს მიხედვით და კმაყოფილებით მინდა გითხრათ, რომ მოსწავლეები დიდ დაინტერესებას იჩენენ საგნისადმი. არცაა გასაკვირი, ისინი ხომ მათი გორისანი არიან, ვისაც ქვეყნის ისტორიის ქარტეხილებში, ერთ ხელში ხმალი ეჭირა და მეორეში გუთანი. ლადო ასათიანის ლექსის უკვდავი სტრიქონებიც არ უნდა დაგვავიწყდეს:

„ჩვენ ვაუკაცობა ძველთაგან მოგვდგამს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს,
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“...

ჯერჯერობით კვირაში ერთ გაკვეთილს ვატარებ. მომავალი წლიდან ალბათ ყველა საჯარო სკოლაში დაიწყება სამხედრო საგნის სწავლება და გაკვეთილებიც მოიმატებს.

მოსწავლეთა დაინტერესება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ არაერთი მათგანი გახდება ქართული ჯარის მოსამსახურე. გაივლის სასახელო გზას კადეტობიდან უმაღლესი დონის სამხედრო მეთაურამდე. ჩვენი მისიაც ისაა, რომ გავუღვივოთ მათ ამის სურვილი.



სამხედრო საქმით დაინტერესებულ ბიჭებსა და გოგონებს სწავლა შეუძლიათ გააგრძელონ ქუთაისის კადეტთა კორპუსში, სადაც საუკეთესო პირობებია შექმნილი სწავლა-აღზრდისათვის, მიახლოებული სამხედრო საქმეს. მოსწავლეები პრაქტიკას გაივლიან უშუალოდ სამხედრო ნაწილებში და თადარიგის მეომრებთან ერთად ეზიარებიან სამხედრო-მოსამსახურის უნარ-ჩვევებს. ექნებათ შეხება საბრძოლო იარაღთან, დააკვირდებიან საბრძოლო წრთვნებს.

თითოეული სურვილის მიხედვით სამხედრო განათლებას და შემდგომ სამსახურს გააგრძელებს სამხედრო საქმის მისთვის სასურველ პროფესიაში.

და ბოლოს მინდა მადლიერება გამოვხატო ქალაქის №2 საჯარო სკოლის დირექტორის ქალბატონ რუსუდან უსუფაშვილისადმი, რომელმაც ყველა პირობა შეგვიქმნა საგნის სწავლების ორგანიზებისათვის. საერთო მონდომებით მიღწეული იქნება ის, რომ ახალგაზრდობა აღიზარდოს სამშობლოსადმი პატრიოტული სულისკვეთებით, მზადმყოფი საჭიროების შემთხვევაში, მომხდურისაგან, დაიცვას საკუთარი თავი და შესაბამისად ქვეყანა.

ესაუბრა ი. ერაძე

ღვინის დღეებს და თერჯოლობას...

მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო!
გილოცავთ „თერჯოლლობას“ და ოქროსფერ ოქტომბერს!
თქვენი თერჯოლა ხარობს და შრომობს ხარისხის ნიშნით,
გეფერებათ და თავის გულს გიშლით.
თერჯოლა საიმერეთოს სავიზიტო ბარათია
თქვენი სიყვარული გულში დაატია,
დღეს თქვენთან ერთად ზეიმობს შემოდგომას ოქროსფერს
დავთარში იწერს მორიგ რთველს...
მოხვალთ, ნახავთ და დაიჯერებთ ფაქტებით
ბედნიერი გახდებით!
თერჯოლა თქვენია—
ღიმილით გვხდებათ ყოველ გამთენია!
დღეს 22 ოქტომბერია,
თერჯოლა ზეიმობს,
თერჯოლაში მღერიან...
ღიმილით გვსტუმრობს ყოველი, ახლობელი
და კეთილმზრახველი,
ჭინკაც ჩამოვაო, თუ უკვე ჩამოსულაო—ვინ
არის დამნახველი!?
ზოგან მოუსწრიათ დაწურვა, ზოგან ძლივს
სუნთქავს მძიმე საწნახელი,
მოდით, შემოგევლეთ, ერთად გავიხაროთ,
ერთად ავხადოთ ჭერი ასახდელი.

ჩემო თერჯოლავ:
შენზე კეთილი, შენზე ლამაზი
ამქვეყნად მე ვერავინ ვნახე,
გიწერ ამ სტრიქონებს დიდი სიყვარულით
ნუგზარ გამყრელიძე,
თერჯოლელი მევენახე.

იუმორის საღამო

13 ოქტომბერს, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერის ამფითეატრში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით იუმორისა და სიმღერის საღამო გაიმართა.

ღონისძიებას ადგილობრივი მაცხოვრებლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

იუმორისტული ჯგუფი „იშვიათი იმერლები” მაყურებლის წინაშე სხვადასხვა გასართობი და სახალისო ნომრებით წარსდგნენ, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

პროექტის მიზანია, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული იდეების ხელშეწყობა და განხორციელება.

კროსვორდი
გილოცავთ თერჯოლობას



1. ბრძოლის მოგება, ანუ... 2. საქართველოს ერთ-ერთი მხარე. 3. სოფელ ეწრის ერთ-ერთი სამეურნეო სავარგული. 4. საქართველოს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი. 5. თერჯოლაში გავრცელებული ყურძნის ჯიში. 6. მდინარე, რომელიც ჩამოუდის თერჯოლას. 7. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი თერჯოლის მუნიციპალიტეტში. 8. ერთ-ერთი მარტივი სასოფლო-სამეურნეო იარაღი. 9. ფელამუში ანუ... 10. წელიწადის დრო. 11. წარსულში წყლის წისქვილებით განთქმული სოფელი. 12. პურეულის აღმონაცენი. 13. ოდნავ ანუ... 14. ყურძნის ჯიში. 15. სუფრასთან ვისიმე წარმოჩენისადმი წარმოთქმული სიტყვა. 16. სოფელი, სადაც არის ბაზარი, ღვინის ქარხანა, იუსტიციის სახლი... 17. გიორგობისთვე, ანუ... 18. სოფელი, სადაც არის კარსტული მღვიმე. 19. სიტყვების გამოცნობაზე აგებული გასართობი.

ეწრის საბავშვო ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ია კაცაძეს, ბიძის
ამირან პატარიძის
გარდაცვალების გამო.

„იამეს“ ბარაქიანი შემოდგომა...

ჩვენი მუნიციპალიტეტის ქალთა ვოკალური ანსამბლის „იამეს“ სახელი წლებია საამოდ ატკბობს სიმღერის მოყვარულ თუ პროფესიონალ მსმენელს.

თერჯოლელი ქალბატონების ეს ანსამბლი (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, წევრები: ხათუნა სირბილაძე, ვალია მინდიევი, ანა დევიძე, ეთერ ივანაშვილი, ლალი ვერულაშვილი, ალექსანდრა გურაბანიძე) სამართლიანადაა მიჩნეული ერთ-ერთ გამორჩეულ შემოქმედებით კოლექტივად, არა მარტო იმერეთის რეგიონში.

ანსამბლის წარმატებებზე ხაზგასმით მეტყველებენ ის ჯილდოები—სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატის წოდებები და დიპლომები, რომლებიც დაუმსახურებიათ ამ მშვენიერ ქალბატონებს ნაყოფიერი მოღვაწეობის წლების მანძილზე.

ანსამბლისათვის ბარაქიანი გამოდგა მიმდინარე წლის შემოდგომაც.

ლირიული სიმღერის ფესტივალი „სულიკო-2023“

ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის მშობლიური კუთხე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხრაწყარო ყოველი წლის შემოდგომისას ქართული ლირიული სიმღერის ტრადიციულ ფესტივალს „სულიკოს“ მასპინძლობს. ფესტივალში მონაწილეობას იმერეთის რეგიონის მუსიკალური კოლექტივები ღებულობდნენ.

მუსიკალურ ღონისძიებაში „სულიკო 2023“ მონაწილეობას იმერეთის ათი მუნიციპალიტეტი იღებდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ფესტივალის გრანპრი ზესტაფონის ანსამბლ „ბერმუხას“ გადაეცა.

პირველი, მეორე და მესამე ადგილები კი ასე გადანაწილდა:

I ადგილი — თერჯოლის ანსამბლი — „იამე“;

II ადგილი — ვანი „სავანე“;

III ადგილი — ქუთაისის მესამე სამუსიკო სკოლის კვარტეტი.

ფესტივალის პირობების მიხედვით დაწესებული ფულადი პრიზები, სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გამარჯვებულებს ზესტაფონის მერმა, ვასილ გველესიანმა, მოადგილეებმა გიორგი ჯუღელმა და მალხაზ შერგელაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ღამბაშიძემ და მისმა მოადგილეებმა გადასცეს. ფესტივალს, ზესტაფონის ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, ზვიად შალამბერიძეც ესწრებოდა.

„ვარინკობის“ ფესტივალს 80-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი და ის ისეთი ჟანრების პოპულარიზაციას ითვალისწინებს, როგორიცაა ქართული ლირიული სიმღერა, ქართველ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი ქალაქური სიმღერები.

ბათუმი, „კასტელო მარე“ გალა კონცერტზე

2023 წლის 1 ოქტომბერს, ოპერის ცნობილი მომღერლის, თამარ ივერის მიერ ანსამბლი „ იამე“ მიწვეულ იქნა ქალაქ ბათუმში, ციხისძირის სასტუმრო „კასტელო მარეში“ გალა კონცერტზე, რომელიც გაიმართა მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერლებისა და სტუმრების საპატივცემულოდ. ანსამბლმა „იამემ“ დახურა აღნიშნული ღონისძიება და სამართლიანად დაიმსახურა გალა კონცერტის მონაწილეთა დიდი მოწონება და ოვაციები.

ქუთაისი, პოეზიის საღამოზე

2023 წლის 5 ოქტომბერს ანსამბლი „იამე“ მიწვეული იყო ქალაქ ქუთაისში პოეტ ანა ლორთქიფანიძის პოეზიის საღამოზე, სადაც ანსამბლმა „იამემ“ დაიმსახურა დიდი მოწონება და მხურვალე აპლოდისმენტები.

საჩხერე, საგალობლების ფესტივალი

2023 წლის 9 ოქტომბერს ანსამბლი „იამე“ მიწვეული იყო ქალაქ საჩხერეში ქართული საგალობლების ფესტივალზე, სადაც წარადგინა 2 საგალობელი და დაიმსახურა ჟიურისა და მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება. აქვე მოეწყო ღვინის ფესტივალი და დეგუსტაცია, სადაც ანსამბლ „იამეს“ მიერ წარდგენილმა თერჯოლის საბარძიმე ღვინომ პირველი ადგილი დაიმსახურა.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872